ა(ა)იპ თვითმართველი თემის - გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური

„ამწე-კრანის“ მომსახურება ოპერატორთან ერთად
გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით

სატენდერო დოკუმენტაცია

კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი

45500000 - სამშენებლო და სამოქალაქო მშენებლობის მანქანა-დანადგარებისა და მათი ოპერატორების დაქირავება

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე

2016 წელი

ქ. გორი

სარჩევი

ტექნიკური მოთხოვნები ---------- 3
დამატებითი ინფორმაცია ---------- 3
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი ---------- 4
რეკვიზიტები დანართი#1 ---------- 8
ფასების ცხრილი დანართი #2 ---------- 10

1. ტექნიკური მოთხოვნები

1.1 პრეტენდენტებმა ტექნიკური დოკუმენტაციის სახით სისტემაში უნდა ატვირთონ შემდეგი დოკუმენტები და ინფორმაცია:
ა) საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სახელი და გვარი; დანართი #1-ის მიხედვით
ბ) ფასების ცხრილი დანართი #2- ის მიხედვით;
1.2 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონული სისტემაში სატენდერო წინადადების (ტექნიკური დოკუმენტაციისა და სატენდერო წინადადების ფასი) წარდგენით პრეტენდენტი ავტომატურად გამოხატავს თანხმობას ამ პუნქტის „ა“-„ვ“ ქვეპუნქტებში განსაზღვრულ მოთხოვნებზე.
ა) ხელშეკრულების გაფორმებიდან 2016 წლის 31 დეკემბრამდე მიმწოდებელი, ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, ვალდებულია უზრუნველყოს ამწით მომსახურება გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.
ბ) ანგარიშსწორებისათვის შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის უნდა გაფორმდეს მიღება-ჩაბარების აქტი, ფაქტობრივად გამნხორციელებულ სამუშაოს შესაბამისად, ანგარიშსწორება მოხდება შემსყიდველის მიერ მიღება–ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 15 საბანკო დღის ვადაში;
გ) ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია (ელექტრონული გარანტია) სატენდერო განცხადებაში მითითებული სავარაუდო ღირებულების 1%-ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრება 120 კალენდარული დღით, ტენდერისათვის სტატუსის – „წინადადების მიღება დაწყებულია” მინიჭების ეტაპიდან;
დ) წინასწარი გადახდის მექანიზმი არ გამოიყენება;
ე) პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება;.
ვ) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო დოკუმენტაცია ხელმოწერილი უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.
ზ) იმ შემთხვევაში თუ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ საბოლოოდ დაფიქსირებული ფასი 20%-ით ან 20%-ზე მეტით დაბალი იქნება შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველი ორგანიზაცის მოთხოვნის შემთხვევაში მიმწოდებელმა უნდა დაასაბუთოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობა ან/და ამ ფასად ტენდერით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობა, რომელიც წარმოდგენილი უნდა იყოს არაუმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

შენიშვნა : “პრეტენდენტს” არ უნდა გააჩნდეს ქონებაზე საჯარო - სამართველბრივი შეზღუდვა
ტექნიკური დავალება:

1. გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 7ტონიანი ტვირთამწეობის ამწით მომსახურება.

ჩასატარებელი სამუშაოები, გრაფიკი:

1. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 7 ტონიანი ამწით მომსახურება.
2. გრაფიკი ცვალებადია, დამოკიდებულია ჩასატარებელი სამუშაოების მოცულობაზე. გრაფიკის ცვალებადობის შესახებ პრეტენდენტი ინფორმირებული იქნება 2 კალენდარული დღით ადრე.
3. სამუშაოების დაანგარიშება მოხდება ფაქტიურად ნამუშევარი დღეებიდან გამომდინარე. ჩატარებული სამუშაოების ინსპექტირებას განახორციელებს ა(ა)იპ თვითმმართველი თემის - გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურის თანამშრომელი, საკანალიზაციო სისტემების, სანიაღვრე არხების, შიდა სარწყავი არხების მომსახურების სამსახურის უფროსი - გიორგი საათაშვილი.

ანგარიშწორება:

1. ანგარიშწორება მოხდება ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 საბანკო დღის განმავლობაში.

შენიშვნა :

1. ზეპირი ან წერილობითი შეტყობინებიდან 2 სამუშაო დღეში პრეტენდენტი ვალდებულია გამოცხადდეს დამქირავებლის მიერ მითითებულ ადგილზე.
2. 2016 წლის განმავლობაში სამუშაო დღეების რაოდენობა არ აღემატება 20 დღეს.

სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში, წერილობითი მიმართვის შემთხვევაში. ქ. გორი, სოფ. ბერბუკი.
საკონტაქტო პირი : ლექსო მარტინოვი - 551 03 36 36;

3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენთთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.
წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო ____ _____ 2016წ.

ერთის მხრივ
ა(ა)იპ თვითმართველი თემის გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური (შემდგომში „შემსყიდველი“)
და მეორეს მხრივ
_____
(შემდგომში „მიმწოდებელი“) (მიმწოდებლის დასახელება და რეკვიზიტები) შორის.
იმის გათვალისწინებით, რომ შემსყიდველმა ჩაატარა ტენდერი
_____
_____

შესყიდვის ობიექტის მოკლე აღწერა
შესყიდვაზე რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის სატენდერო წინადადება, რომლის თანახმად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ავტომობილის შემდეგ თანხაზე:
_____
(ხელშეკრულების თანხა ციფრებით, სიტყვიერად და ვალუტის ჩვენებით)
(შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება“).

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები
ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
1.1„ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2„ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
1.3„შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და აწვდის საქონელს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
1.5„დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.
2. სტანდარტები
ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული საქონელი უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკურ პირობებში მითითებულ სტანდარტებს.
3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი
3.1შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი და/ან შეამოწმონ საქონელი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.
3.2მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.
3.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, წუნდებული საქონლის შეცვლა და კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად დაზიანებული საცდელი ნიმუშების ღირებულების დაფარვა.
3.4ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.

3.5 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს
4 საქონლის ტექნიკური პირობები და მიწოდების ვადა
4.1 შესყიდვის ობიექტია - შიდა სარწყავი არხების მჭრელის მომსახურების შესყიდვა
4.2 საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.
4.3 საქონლის მიწოდების ადგილი: გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორია.
5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი
5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება საქონლის მიწოდების განხორციელების შემდეგ შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით (შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების მეოთხე მუხლის 3.5 პუნქტში მითითებული პირი
5.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.
6. ანგარიშსწორება
6.1. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.
6.2 ანგარიშსწორება მოხდება მომსახურების გაწევიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
7.ფასები
7.1 მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.
7.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია.
7.3 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით.
7.4 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის
398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
7.5 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.
8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა
81 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
8.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.
8.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
9. უფლებების გადაცემა
9.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

10. სუბკონტრაქტორები
10.1ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის ან შეცვლის შესახებ (სუბ-კონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით). სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტს შემსყიდველი და მიმწოდებელი
ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით წინადებარე ხელშეკრულების დამატების სახით.
10.2ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.
10.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
11.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.2%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის
0.2 %-ს.
11.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

11.3 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
12. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო
12.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი ეტყობინების შემდეგ:
ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;
ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.
12.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
12.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:
ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
გ)თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;
დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
12.4 ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.
13. ფორს-მაჟორი
13.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს- მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

14.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულებაში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

15. გამოყენებული სამართალი

15.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ზემოთ მითითებული თარიღიდან მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

17. სხვა პირობები

17.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

17.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

17.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

17.4 გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

17.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ. შემსყიდველი: მიმწოდებელი:

შემსყიდველი	მიმწოდებელი

	ს/კ: ---
	მის: ---
	ბანკი: ---
	ა/ა: ---
	ბანკის კოდი: ---
	დირექტორი: ---

რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის დასახელება:

ბანკის კოდი:

ანგარიშის ნომერი:

დანართი #2

N	ტექნიკური პირობა	ტექნიკის მარკა, მოდელი	გამომშვები ქვეყანა	ერთეული	1 დღის ღირებულება	სავარაუდო დღეების რაოდენობა	ჯამური ღირებულება
1	7 ტონიანი ამწით მომსახურება			1 ცალი		20	

შენიშვნა : სატენდერო წინადადება უნდა ითვალისწინებდეს ყველა ხარჯს და მოქმედი კანონმდებლობით ყველა გადასახადს.